



საქართველო
Deloitte Legal
20 სექტემბერი 2021

საქართველოს საკანონმდებლო სიახლეები

იხელმძღვანელეთ კანონმდებლობით

საქართველოს მთავრობის დადგენილება № 447 ბუნებრივი გაზის ბაზრის მოდელის კონცეფციის დამტკიცების შესახებ

2021 წლის 2 სექტემბერს საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება № 447 ბუნებრივი გაზის ბაზრის მოდელის კონცეფციის დამტკიცების შესახებ.

კონცეფცია აყალიბებს საქართველოში ბუნებრივი გაზის ბაზრის ორგანიზებისა და ფუნქციონირების სახელმძღვანელო პრინციპებს და განსაზღვრავს ბუნებრივი გაზის ბაზრის სტრუქტურის ზოგად მონახაზს.

ბუნებრივი გაზის ბაზრის მოდელის კონცეფციის ჩამოყალიბება მიზნად ისახავს:

- ბაზრის სეგმენტების იდენტიფიცირებას, ვაჭრობისა და ქსელის ეფექტიანი დაბალანსების ხელშეწყობისათვის;
- ბაზრის განვითარების ხელშეწყობითა და დროებითი ზომების გამოყენების გზით მიწოდების/იმპორტის დომინანტურ წყაროზე დამოკიდებულების შემცირებას;
- ბაზრის სუბიექტების როლებისა და ფუნქციების განსაზღვრას;
- ბაზრის ლიკვიდურობისა და კონკურენტული ფასის ფორმირების ხელშეწყობას;
- ბაზრის სამიზნე მოდელის ზოგადი მონახაზის, ასევე სამიზნე მოდელზე გადასასვლელად საჭირო დროებითი ღონისძიებების განსაზღვრას.

ბუნებრივი გაზის ბაზრის მოდელის კონცეფცია, საერთო ეკონომიკური ინტერესის უზრუნველყოფის მიზნით, ითვალისწინებს, დროებითი ღონისძიებების სახით, საწარმოსთვის საჯარო მომსახურების ვალდებულების დაკისრებას. ბუნებრივი გაზის საწარმო, რომელსაც საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტის შესაბამისად დაეკისრება საჯარო მომსახურების განხორციელება, ვალდებულია უზრუნველყოს საჯარო მომსახურება საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიისა და საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

ბუნებრივი გაზის ბაზრის მოდელის კონცეფციის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილება ძალაში შევიდა გამოქვეყნებისთანავე - 2021 წლის 3 სექტემბერს.

ცვლილებები გაზისა და ღვინის შესახებ საქართველოს კანონში

2021 წლის 14 სექტემბერს, საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტმა გაზისა და ღვინის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტი განიხილა, რომლის მიხედვით, 2023 წლიდან ადგილობრივ ბაზარზე იქნება შემოღებული ალკოჰოლიანი სასმელების სავალდებულო სერტიფიცირება.

კანონპროექტის თანახმად, გაზისა და ღვინის შესახებ კანონში ოთხი მნიშვნელოვანი ცვლილება შედის:

- ღვინის კატეგორიებს ემატება ახალი - „დეალკოჰოლიზებული ღვინო“;
- კანონპროექტით განსაზღვრულია რეგულირების ახალი ობიექტი - „ღვინისეული სასმელი“, რაც წარმოადგენს ღვინის ბაზარზე დამზადებულ სასმელს;
- მნიშვნელოვანი ცვლილება ეხება ადგილობრივ ბაზარზე ღვინის სავალდებულო სერტიფიცირებას, რომელიც 2023 წლის იანვრიდან შემოდის და მიზნად ისახავს ადგილობრივ ბაზარზე მეტი კონტროლის განხორციელებას;
- ღვინის ეროვნულ სააგენტოს, შესაბამისი ორგანოების მიმართვის საფუძველზე, ტრანზიტული ტვირთების ექსპერტული ანალიზის ჩატარების უფლება ენიჭება.

კანონპროექტი მიზნად ისახავს ღვინის ადგილობრივ ბაზარზე მეტი კონტროლის განხორციელებას და ღვინის ბაზარზე დამზადებული პროდუქტებისა და დეალკოჰოლიზაციის გზით მიღებული ღვინის სამართლებრივი რეგულირებისათვის დაქვემდებარებას.

გაზისა და ღვინის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების პაკეტთან ერთად, ინიცირებულია ცვლილებები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსშიც, რომელიც მიზნად ისახავს გაზისა და ღვინის შესახებ კანონის დარღვევისათვის შესაბამისი სანქციების დაწესებას.

აგრარულ საკითხთა კომიტეტმა მხარი დაუჭირა კანონპროექტების პარლამენტის პლენარულ სხდომაზე პირველი მოსმენით განსახილველად გატანას.

სახელმწიფო ინსპექტორმა პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის ახალი წესი დაამტკიცა

2021 წლის 15 სექტემბერს ძალაში შევიდა სახელმწიფო ინსპექტორის № 08 ბრძანება პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის წესის დამტკიცების შესახებ.

პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის ახალი წესის შემუშავებასთან ერთად, ასევე განახლდა პერსონალურ მონაცემთა სუბიექტის მიერ, პერსონალური მონაცემების უკანონო დამუშავებასთან დაკავშირებით, სამსახურისთვის წარმოსადგენი განცხადების ფორმა.

ახალი წესით მოწესრიგებულია:

- პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის მიზნები და სახეები;
- ინსპექტორის გეგმიური და არაგეგმიური შემოწმებების წინაპირობები და მათ ჩატარებასთან დაკავშირებული პროცედურები;
- პერსონალურ მონაცემთა უკანონო დამუშავებასთან დაკავშირებული განცხადებების განხილვის პროცედურები;
- მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის პროცესში განმცხადებლის, მონაცემთა დამმუშავებლების, უფლებამოსილი პირებისა და სამსახურის თანამშრომელთა უფლებები და ვალდებულებები.

პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის ახალი წესი მიზნად ისახავს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურთან კომუნიკაციის გამარტივებას, სამსახურის მიერ მონაცემთა დამუშავების პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფასა და სამსახურის საქმიანობის ეფექტიანობის ზრდას.


საკონტაქტო ინფორმაცია

შეკითხვების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ მიმართოთ დელოიტის საქართველოს ოფისის შესაბამის თანამშრომლებს:



გიორგი თავართქილაძე

საგადასახადო და იურიდიული
დეპარტამენტის დირექტორი
gtavartkiladze@deloitte.ge



გიორგი ხუროძე

იურიდიული სამსახურის უფროსი
gkhurodze@deloitte.ge

თბილისი

ბიზნეს ცენტრი King David

მერაბ ალექსიძის ქ. 12, მე-15 სართული
თბილისი, 0171,
საქართველო

Tel: +995 (32) 224 45 66

Fax: +995 (32) 224 45 69

deloitte.ge

deloitte.ge

დელოიტის შესახებ

დელოიტი გულისხმობს ერთ ან რამოდენიმე დელოიტ ტუმ ტომაცუ ლიმიტედის კომპანიას, რომელიც წარმოადგენს გარანტიით უზრუნველყოფილ ბრიტანულ კერძო კომპანიას (DTTL), მისი წევრი კომპანიების ქსელს და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს. DTTL და მისი ყოველი წევრი წარმოადგენს იურიდიულად დამოუკიდებელ ცალკე პირს. DTTL (რომელიც ასევე მოიხსენიება როგორც გლობალური ქსელი „დელოიტი“) კლიენტებს არ უზრუნველყოფს სერვისის მიწოდებით. DTTL-ისა და მისი წევრი კომპანიების დეტალური აღწერისთვის გთხოვთ იხილოთ www.deloitte.com/about.

დელოიტი ახორციელებს აუდიტორულ, საკონსულტაციო, ფინანსური რჩევების, რისკების მართვის, საგადასახადო და მასთან დაკავშირებული მომსახურებების მიწოდებას, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო კომპანიებისთვის. დელოიტი - კომპანიების გლობალური ქსელი, ჟურნალ „Fortune“-ს მიერ გამოქვეყნებული მსოფლიოს 500 უმსხვილესი კომპანიიდან დაახლოებით 400-ს ემსახურება 150-ზე მეტ ქვეყანაში მოღვაწე წევრი კომპანიების მეშვეობით. დელოიტი კლიენტებს უზრუნველყოფს მსოფლიო მასშტაბის შესაძლებლობებითა და უმაღლესი ხარისხის მომსახურებით, ურთულესი ბიზნეს-ამოცანების გადასაჭრელად. დელოიტში დასაქმებული 330 000-ზე მეტი პროფესიონალი გამსჭვალულია მიზნის მიღწევის იდეით. მეტი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ჩვენს გვერდებს სოციალურ ქსელებში [Facebook](#), [LinkedIn](#), [Twitter](#).

ეს შეტყობინება მოიცავს მხოლოდ ზოგად ინფორმაციას და შესაბამისად არცერთი, დელოიტ ტუმ ტომაცუ ლიმიტედი (DTTL), მისი წევრი კომპანიები და დაკავშირებული ორგანიზაციები (ერთობლივად წოდებულნი როგორც „დელოიტის ქსელი“) ამ შეტყობინების საფუძველზე არ იღებს პასუხისმგებლობას საკონსულტაციო ან პროფესიული მომსახურების მიწოდებაზე. რაიმე გადაწყვეტილების მიღებამდე ან ქმედების განხორციელებამდე, რომელიც გავლენას იქონიებს თქვენს ფინანსებსა და ბიზნესზე, უმჯობესია კონსულტაცია გაიაროთ კვალიფიციურ კონსულტანტთან. „დელოიტი“-ს ქსელის არცერთი წევრი კომპანია არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი პირის რაიმე სახის დანაკარგზე, რომელიც ეყრდნობა ამ შეტყობინებას.